ხაშურის მოამბე

№32 (162) 13 აგვისტო, ორშაბათი, 2018 წელი

სამშობლოსათვის დაღუპულთა საფლავები გვირგვინით შეამკეს

საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული დღიდან ათი წელი გავიდა. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს გმირულად დაიღუპნენ სამშობლოსთვის მებრძოლი ვაჟკაცები, მათ შორის ხაშურის მუნიციპალიტეტიდან.

მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ ჯანაშვილმა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს გმირულად დაღუპულ მებრძოლთა საფლავები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა მემორიალი გვირგვინებით შეამკეს.

ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენის კავალერი -კაპრალი დავით ბლიაძე ქვიშხეთშია დაკრძალული, კაპრალი ზაურ მახარაშვილი, რომელსაც გარდაცვალების შემდეგ მედალი "მხედრული მამაცობისთვის" მიენიჭა, მისი მშობლიური სოფლის - ოსიაურის სასაფლაოზეა დაკრძალული, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერი კაპრალი გიორგი წიქარიშვილი კი თბილისის ძმათა სასაფლაოზე განისვენებს.

"აგვისტოს ომის გმირების სიმამაცე და თავდადება სამაგალითოა თითოეული ჩვენგანისა და მომავალი თაობებისთვის", - აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების უკანონო ოკუპაციის მიზნით, რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოში განხორციელებული ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციის შედეგად დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის დროშები, 8 აგვისტოს, დაშვებული იყო.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №77

2018 წლის 7 აგვისტო, ხაშური

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის მორიგი არჩევნებისათვის, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო შეხვედრების ჩასატარებლად, სააგიტაციო მასალების გასაკრავად და გამოსაფენად ადგილების გამოყოფის შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 1-ლი აგვისტოს №01/08/02 განკარგულებით გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნების თარიღი. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 46-ე მუხლი აწესებს ცალკეულ შეზღუდვებს, კერძოდ, კრძალავს სააგიტაციო მასალის საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, აგრეთვე, საგზაო ნიშნებზე განთავსება/გაკვრას. იმავდროულად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ავალდებულებს წინასაარჩევნოდ უზრუნველყონ თითოეული პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტის თუ კანდიდატის სააგიტაციო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა და განსაზღვრონ ადგილები ან/და დადგან სტენდები სააგიტაციო მასალის თვალსაჩინო ადგილებზე გასაკრავად, რათა ამომრჩევლები ინფორმირებულები იყვნენ თითოეული საარჩევნო სუბიექტის პროგრამისა და პლატფორმის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს დაკმაყოფილდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის თხოვნა და გამოიყოს ადგილები ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო შეხვედრების ჩასატარებლად, სააგიტაციო მასალების გასაკრავად და გამოსაფენად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კიდექსის" 45-ე მუხის მე-9 პუნქტის, 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. გამოიყოს ადგილები ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო შეხვედრების ჩასატარებლად, სააგიტაციო მასალების გასაკრავად და გამოსაფენად, დანართი №1-ის შესაბამისად (დანართი №1 თან ერთვის);
2. ამ განკარგულების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გამოსაკრავად განკუთვნილი ადგილ(ებ)ით;
3. ამ განკარგულების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტების მიერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატების მაქსიმალური რაოდენობა დგინდება შესაბამისი ადგილის ფართობის გათვალისწინებით;
4. ამ განკარგულების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას საარჩევნო პლაკატი შემდეგი ზომებით: სიგრძე არაუმეტეს 60სმ, სიგანე არაუმეტეს 42სმ (2 ფორმატით);
5. ამ განკარგულების 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ ადგილას, საარჩევნო სუბიექტების მიერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატების მაქსიმალური რაოდენობა ერთ საარჩევნო სუბიექტზე განისაზღვროს 1 ცალით;
6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო შეხვედრების ჩასატარებლად, სააგიტაციო მასალების გასაკრავად და გამოსაფენად ადგილების გამოყოფის შესახებ" ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 აგვისტოს №67 განკარგულება;
7. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას;
8. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე.
9. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, სარჩელის წარდგენის გზით, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ხაშური, კოსტავას ქ.№15).

საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი

დანართი №1

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალების გასაკრავად შერჩეული ადგილები

ხაშურში:

1. ხაშურის საქალაქო კულტურის ცენტრის ე.წ რკინიგზის კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორია.
2. ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებული ღამის განათების ბოძებზე, 3 მეტრის სიმაღლემდე დაშვებით, მაგრამ ბოძზე დამონტაჟებულ კვანძებთან, სადენებთან და სხვა ელ. მოწყობილობებთან, არაუმეტეს, 1 მეტრის სიახლოვისა.

დაბა სურამში:

1. კინოთეატრის მიმდებარე ტერიტორია;
2. კოსტავას ქუჩაზე მდებარე კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორია;
3. ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებული ღამის განათების ბოძებზე 3 მეტრის სიმაღლემდე დაშვებით, მაგრამ ბოძზე დამონტაჟებულ კვანძებთან, სადენებთან და სხვა ელ. მოწყობილობებთან, არაუმეტეს, 1 მეტრის სიახლოვისა.

მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული ე.წ ყოფილი სოფლის კულტურის სახლების, კლუბების და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის განთავსებული ღამის განათების ბოძებზე 3 მეტრის სიმაღლემდე დაშვებით, მაგრამ ბოძზე დამონტაჟებულ კვანძებთან, სადენებთან და სხვა ელ. მოწყობილობებთან, არაუმეტეს, 1 მეტრის სიახლოვისა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სუბიექტების მიერ შეიძლება საარჩევნო ღონისძიებები ჩატარდეს შემდეგ შენობებში:

ხაშურში:

ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო დაწესებულებების სამუსიკო სკოლების გაერთიანების შენობა, მის: ხაშური, თამარ მეფის ქ. №1.

დაბა სურამში:

1. კოსტავას ქუჩაზე მდებარე კულტურის სახლი.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში:

სოფლის ყოფილი კულტურის სახლებსა და კლუბებში.

ხაშური და რუსული ინტერვენცია

(2008 წლის აგვისტო-სექტემბერი)

მკითხველისადმი წინამდებარე მცირე რამ ნაშრომი იმ დიდი ტრაგედიის ანარეკლია, რაც რუსეთმა დამართა საქართველოს 2008 წლის აგვისტო-სექტემბერში. რამდენიმე ფურცელი, ბუნებრივია, ვერ დაიტევს იმ ტკივილს, რაც ჩვენმა ერმა განიცადა, მაგრამ წარმოდგენას მაინც შეგიქმნით რუსეთის აგრესიაზე.

საქართველო რუსეთისათვის მუდამ იყო საჯილდაო ქვა. ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობა თავიდანვე შეცდომა აღმოჩნდა. არაერთი ქართველის სიცოცხლე შეეწირა 1921 წლის ანექსიას, სხვადასხვა წლების აჯანყებებსა და გამოსვლებს.

„უფროს ძმას“ ყოველთვის ყელზე ადგა თავისუფლებისმოყვარე ქართველი ერი. ამიტომაც, სამაგალითოდ გვსჯიდნენ. ასე

იყო 1924-1937 წლებში, 1956 წლის 9 მარტს, 1989 წლის 9 აპრილს. 15 წლის წინანდელმა გენოციდმა კი ლიბო მოურღვია აფხაზეთსა და სამაჩაბლოს ქართველობას. აგვისტოს მოვლენებით კი რუსეთმა დიდი ხნის წინანდელი ოცნება შეისრულა: შავი ზღვისპირეთის ნაწილი (აფხაზეთი) და შიდა ქართლის ნაწილი (სამაჩაბლო) სრულიად მოწყვიტა დედასაქართველოს.

ომის დღეებში, საქართველოს ბანკში გაიხსნა კონფლიქტში დაზარალებული მოსახლეობის დახმარების ფონდი (საქართველოს ბანკი 44-44-44). ტყვეების, კონფლიქტის ზონაში დარჩენილი მოსახლეობისა და მარადიორობის შესახებ შეიქმნა ცხელი ხაზი (8(22)98-94-51).

რაიონული კომისარიატის ცნობით, აგვისტოში ხაშურის რაიონიდან გაწვეული იყო 280 რეზერვისტი.

საავადმყოფოები შეუფერხებლად ღებულობდნენ და მკურნალობდნენ დაჭრილებს. სადგურ ხაშურის საკვანძო ქირურგიულ განყოფილებაში გატარდა აგვისტოს საომარ მოქმედებასთან დაკავშირებული 5 დაზარალებული პაციენტი (ქირურგიული ჭრილობებით და ტრავმებით.) „შ.პ.ს.“ აფთიაქიდან საავადმყოფოს გადაეცა პირველი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად საჭირო მედიკამენტები, შესახვევი მასალა და სხვა სამედიცინო დანიშნულების საგნები.

ხაშურის რაიონულ საავადმყოფოში 70 დაჭრილი მკურნალობდა, აქედან 41 პაციენტი იწვა სტაციონარში, 29-ს გაეწია ამბოლატორიული დახმარება. განსაკუთრებული თავდადება და მაღალი პროფესიონალიზმი გამოავლინეს მედიცინის მუშაკებმა. „რაიონული საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგემ ელიზბარ პატურაშვილმა სასწრაფო ოპერაცია გაუკეთა ბათუმელ ზ. ჯაყელიძეს, რომელიც ქარელის მისადგომებთან მძიმედ დაჭრილა. საუბარი უჭირდა. მან თვალით გვანიშნა, კალამი და ფურცელი მომაწოდეთო. მივაწოდეთ და დაგვიწერა: „ნუ ნერვიულობთ, ჩემი თავი შემიწირავს საქართველოსათვისო“ (ექიმ ლელა გოგალაძის ნაამბობი).

„ცეცხლის შეწყვიტის შემდეგ, გორისა და რუისის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბევრი დაჭრილი ჯარისკაცი იყო თავშეფარებული. ჩვენ სამჯერ შევედით ტყეში მანქანით და გამოგვყავდა დაჭრილი ჯარისკაცები, რომლებსაც რაიონულ საავადმყოფოში ვუტარებდით ოპერაციებს. 12 აგვისტოს, სოფელ რუისიდან მოიყვანეს მუცელში მძიმედ დაჭრილი მშვიდობიანი მოსახლე, 57 წლის უშანგი ბეროშვილი, რომელსაც გაუკეთეთ სასწრაფო ოპერაცია. გვეხმარებოდნენ ექიმები: ლელა გოგალაძე და მერაბ მუმლაძე” (ელიზბარ პატურაშვილის ნაამბობი).

„რუისთან მომხდარი დაბომბვის დროს სამარშუტო ტაქსში 9 ადამიანი ჩაცხრილეს, მათ შორის იყო ერთი ბავშვი. რაიონულ საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ მხოლოდ ერთი ადამიანი გადარჩა“ (ექიმ ლელა ჭაღიაშვილის ინფორმაციით).

„თავდაცვის სამინისტროს ჰოსპიტალში (გორში) ომის პერიოდში იყო მთელი მედპერსონალი მობილიზებული. 6 აგვისტოდან, 5 დღის განმავლობაში, ტყვიების წვიმაში, დაახლოებით 1500-1600 დაჭრილს გაეწია პირველადი დახმარება. შემდეგ ეს ავადმყოფები იგზავნებოდნენ შესაბამისად თბილისის საავადმყოფოებში. ჰოსპიტალთან ერთი ბომბი ჩამოვარდა და ერთი ექიმი დაიღუპა” (ექიმ დავით ტაბატაძის ნაამბობი).

თავდადებულ ექიმთა შორის არის ჩვენი თანამემამულე ექიმი იოსებ (სოსო) გელაშვილი (დაიბადა 1972 წელს ქ.ხაშურში. 1990-98წწ. სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი. 1998 წლიდან 2007 წლამდე მუშაობდა რესპუბლიკურ საავადმყოფოში ქირურგად. 2007 წლიდან მუშაობს რესპუბლიკის კლინიკური საავადმყოფოს გადაუდებელი ქირურგიის დეპარტამენტის ქირურგად. რუსეთის აგრესიის დროს გამოჩენილი სიმამაცისათვის, საქართველოს პრეზიდენტის 21 აგვისტოს ბრძანებულებით, დაჯილდოებულია “ღირსების ორდენით“, აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით ომში განსაკუთრებული დამსახურებული ღვაწლისათვის კი – მედლით “მხედრული მამაცობისათვის“).

აგრესიის დღეებში, ლტოლვილთა და დევნილთა რაიონული სამსახურის ინფორმაციით, ერთი თვის განმავლობაში (8 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე), რაიონში შემოსული იყო 11000 დევნილი ძირითადად ცხინვალის, გორისა და ქარელის სოფლებიდან. დევნილები გადანაწილებულები იყვნენ: სანატორიუმებში („მზიური,“ „სურამი,“ „მშენებელი”). მედლაბორატორიაში, რკინიგზის საავადმყოფოში, ბაგა-ბაღებში. (№1-ხაშური ლომოურის ქუჩა №17; №2-ხაშური ვაჟა-ფშაველას ქუჩა №27: №3-ხაშური ხეთაგუროვის ქუჩა №15: №6-ხაშური თევდორე მღვდლის ქუჩა №51: №7-ხაშური თამარ მეფის ქუჩა №17: №9-სურამში). ლტოლვილებს პროდუქტებით ამარაგებდა და სოციალურ პრობლემებს უგვარებდა გამგეობასთან შექმნილი დროებითი კომისია და შესაბამისი სამსახურები. მოსახლეობა შესაძლებლობების ფარგლებში ეხმარებოდა ლტოლვილებს. იმართებოდა მათთან შეხვედრები. ისინი ყვებოდნენ ომის საშინელებებზე. მათი ჩანაწერების გაცნობისას ვრწმუნდებით, რა ტრაგედია დაატყდა თავს XXI საუკუნის ქართველობას:

გაიოზ ჭავჭავაძე, 79 წლის, სოფელ ავნევში მცხოვრები: „ივლისში სოფელ ნულის მოპირდაპირე მხარეს ოსებმა მაღლობზე სანგრები გათხარეს, რომელებშიც ტანკები და მანქანები დაეტეოდა. ოსები არწმუნებდნენ ქართველებს, რომ სარწყავი არხის გაკეთებას ვაპირებთო, სინამდვილეში კი საბრძოლო არტილერიის სათავსოდ უნდოდათ.

ამავდროულად, ოსი მოსახლეობა გაიხიზნა ვლადიკავკაზში.

სოფელი ნული მდებარეობს მდინარე ფრონეს მარჯვენა მხარეს, ფერდობზე. მის მოპირდაპირე მხარეს კი ოსური სოფლებია: უბიათი და ღვერთევი.

სოფელ ღვერთევის მახლობლად ოსი სეპარატისტების ჯარის ნაწილი იყო დაბანაკებული. 3 აგვისტოს, ოსმა სეპარატისტებმა სოფელ ნულს გაუხსნეს ცეცხლი, რომელიც სამი დღის განმავლობაში გაგრძელდა ე.ი. 3, 4, 5 აგვისტოს ბრძოლის ქარცეცხლში იყო გახვეული ნულის მოსახლეობა. დაინგრა რამდენიმე სახლი. მძიმედ დაიჭრა ნოდარ ჟამერაშვილი, დაიხოცა პირუტყვი. მეოთხე დღეს ავნევზე მიიტანეს იერიში. 6 აგვისტოს, რუსმა აგრესორებმა ავნევი დაბომბეს, უმეტესად, ხალხის თავშეყრის ადგილებს ბომბავდნენ. ამასვე აკეთებდნენ ოსი სეპარატისტებიც, განსაკუთრებით იმ ობიექტებზე მიქონდათ იერიში, სადაც ქართული ჯარი იდგა. ქართული ჯარი გმირულად უმკლავდებოდა მათ. მსხვერპლიც იყო, ავნევის მოსახლეობამ გახიზვნა დაიწყო. 8 აგვისტოს კვლავ განახლდა დაბომბვა. სოფლის თავზე საჰაერო ბომბებს ჰყრიდნენ. ჭურვის ნამსხვრევებით მრავალი ადამიანი დაიჭრა. ჩემი ოჯახი ყველაზე გვიან გავიდა სოფლიდან.

8 აგვისტოს, იმ საშინელების დროს, ჩემი ორი შვილიშვილი გაიყვანეს სოფლიდან. დავრჩით მე და ჩემი მეუღლე (80 წელს გადაცილებული, მას სტრესის გამო, გულის შეტევა დაემართა, დღესაც ცუდად არის). ჩვენ არსად ვაპირებდით წასვლას, მაგრამ 9 აგვისტოს ისევ განახლდა დაბომბვა. ჩემს სახლს ჭურვი დაეცა, საბედნიეროდ

უვნებლად გადავჩით, მაგრამ 50 წლის განმავლობაში რაც შევიძინეთ, ყველაფერი დავკარგეთ.

ამჟამად ხაშურში ვართ. თავი შევაფარეთ, რა თქმა უნდა, დროებით, ნათესავს...”

(გაგრძელება III გვერდზე)

ხაშური და რუსული ინტერვენცია

(გაგრძელება)

ჟორა (გიორგი) თხლაშიძე, 53 წლის, სოფ. ავლევი: „2008 წლის 10 აგვისტოს სოფელში ხმა გავრცელდა, ოსების ბანდები შემოდიანო. იმ წუთში დიდი რეაქცია არ მქონია, მაგრამ როცა რაკეტამ თავზე გადამიქროლა, მაშინ კი ვიკადრე გაქცევა. ხალხი მინდორში მოსავლის ასაღებად იყო გასული. ისინი წივილ-კივილით შემოცვივდნენ სახლებში. მე და ჩემი ოჯახის წევრები ბოსელში დავიმალეთ. სროლები მოახლოვდა. ოსებთან ერთად კავკასიური წარმოშობის ბანდები სოფელს შემოესივნენ. ხუთი სახლი გადაწვეს. ხუთი კი - ხანძარს ძლივს გადაურჩა. გაიძარცვა ბინები, ჩემგან მანქანა და ტრაქტორი წაიყვანეს. 10-11 აგვისტოს სოფელში მხოლოდ მოხუცები დარჩნენ. მეც სიდედრის ოჯახს შევაფარე თავი სურამში (კაკალათხევის უბანში), ხაჩიძეებთან. ჩემ გარდა ოჯახმა სხვა დევნილებიც შეიფარა-გორიდან და ტყვიავიდან. ჩვენ ოსებთან არაფერი გვქონდა გასაყოფი. სოფელ იონჩაში ნაკვეთებიც გვაქვს და ვმეზობლობთ კიდეც. სოფელში თანდათან დაიწყო ხალხმა ცხოვრება, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი შიში გვაქვს.”

იამზე ჩუტკერაშვილი 45 წლის, მათემატიკოსი, სოფელი ავლევი: „2008 წლის 8 აგვისტოს, ზნაურის მხრიდან დაიწყო შემოტევა სოფელ კნოლევზე, ავლევზე, ცერონისზე. მოხდა მასიური თავდასხმა, სახლების დაწვა, ძარცვა. ყოველივე ეს გრძელდებოდა კვირეების განმავლობაში.

იმ პერიოდში მოსახლეობა გახიზნული იყო, სოფლებში ძირითადად მოხუცები რჩებოდნენ. იმ პერიოდში იყო მორალური და ფიზიკური შეურაცხოფა, იყო დაშინებაც. სოფელ ავლევში ადგილი ჰქონდა კაცის მკვლელობასაც, ის იყო II მსოფლიო ომის ვეტერანი ილია თხლაშაძე (87 წ). სამივე სკოლაში არსებული კომპიუტერები, ინვენტარი, ყველაფერი გატანილია, ფაქტიურად ყველაფერი განადგურებულია. ა მ ბოლოს, დაახლოებით 3-4 სექტემბერს ადგილი ჰქონდა სამარშუტო მანქანის გატაცებას, გატაცებულია მგზავრების ნივთები. დღემდე ოსი სეპარატისტები დადიან ჩვენს კუთვნილ ადგილებში, ისმის სროლები, ყოველნაირად დაუცველები ვართ. სოფელში იყვნენ შემოსულები ეუთოს წარმომადგენლები, მაგრამ შედეგი არ ჩანს.”

ნონა ინაური, 39 წლის, სოფელი მეღვრიკისი: „მყავს მეუღლე და სამი შვილი. ამჟამად ვარ ლტოლვილი, მეღვრიკისი დაბომბილია. არის ასაფეთქებელი კასეტური ბომბები, ჩემს ბაღში და ყველგან. ჩემი სახლი გაძარცულია. სოფელში ძირითადად მოხუცები არიან. უმრავლესობა ოსებმა სცემეს და მოკლეს კიდეც. მეზობლის ქალი ცულით აჩეხეს. ააწიოკეს და გადაწვეს ყველა და ყველაფერი, დაანგრიეს სახლები. როცა სახლი იძულებით დავტოვე 7 აგვისტოს, მის მერე არ მენახა ჩემი სოფელი. ამასწინათ, შევიპარე სოფელში და ნერვიულობით დიდი სტრესი მივიღე. სოფელში დადიან რუსები თავისუფლად, რასაც უნდა იმას აკეთებენ, ასევე ოსები. გვეუბნებიან, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება რუსეთის ფედერაციაშიო. ითხოვენ სასმელს და ქალებს, ნარკოტიკებს. არ უშვებენ წითელ ჯვარსა და სხვა დახმარებებს. სოფელი ოკუპირებულია მთლიანად. სოფლიდან დაბომბვის დროს რომ მოვდიოდი, გზებზე ცვიოდა ბომბები ჩვენს წინ და უკან, გვერდზე და ა.შ.

თვრამეტი წელი ზურგით გვეჭირა სამაჩაბლო და ასე ვიცავდით ჩვენს მიწა-წყალს. ახლა, იძულებით ლტოლვილი ვარ, ჩემს სოფელში. დახოცილები თავთავიანთ ეზოებში დავმარხე. ჩემი მეუღლე რუსებს ერთი დღე დაჭერილიც ჰყავდათ. რად იცავ შენს თავს, მიწა-წყალს და სოფლიდან რატომ არ მიდიხარო? ჩემი მეუღლე სოფელს დაბომბვის დროიდან დღემდე გვერდში უდგას მოსახლეობას და ყველაფერში ეხმარება. ჩემმა მეზობელმა გვარდიელი ბიჭის ცხედარი იპოვა მეღვრიკისის თავზე და იქვე დაასაფლავა (არ იციან, ვინ არის).

ამის გარდა ჩემმა მეუღლემ-თემურ ინაურმა და მეზობლის ბიჭებმა სოფელ ყელქცეულში დაასაფლავეს გვარდიელები. სამი გვარდიელიდან ერთი ბათუმელი იყო. მაგრამ არცერთის ვინაობა არ ვიცით. ერთს თავი არ ჰქონდა, ერთს-ფეხი”.

რეზო კოპაძე, 41 წლის, სოფელი დვანი: „ცხინვალში დავიბადე, ცნობილი მოვლენების დროს – 1991 წელს, ოსებმა დაგვიწვეს სახლი. მის შემდეგ ჩემს ცოლთან და ერთ შვილთან ერთად ვცხოვრობდით სოფელ დვანში. ჩვენს გვერდით, ჩემს მეზობელს ოსებმა სახლი დაუწვეს, ხანძარმა ჩვენი ბინაც შეიწირა. ამის გარდა სოფელში სკოლა და ერთი სახლიც გადაწვეს.

ამჟამად აქ ვართ თავშეფარებულები. მადლობა თქვენს გამგებელს და ხაშურლებს იმ სითბოსთვის, რასაც თქვენ იჩენთ ჩვენდამი.“

ნაირა გელაშვილი, 45 წლის, სოფელი ავლევი: „ის, რაც 6 აგვისტოს მოხდა, მხოლოდ კინოებში გვაქვს ნანახი. დღესაც ვერ გამოვსულვართ სტრესიდან, თუ როგორ დაგვიშალეს და დაგვიბომბეს რუსმა, კაზაკებმა და ოსმა სეპარატისტებმა. წვავდნენ, ძარცვავდნენ და იტაცებდნენ ყველაფერს, რაც კი ხვდებოდათ, ამდენი ხნის გამართული სოფლებიდან.

6 აგვისტოს დილა თენდებოდა, სროლის ხმა რომ მოგვესმა, რის გამოც აღარავის დაუძინია. იდგა სოფელი და მისჩერებოდა, როგორ წითლდებოდა ცა ტყვიებისაგან. ისმოდა შემაწუხებელი გუგუნი, რის შემდეგადაც არც ჩანდა არაფერი, წამში ნადგურდებოდა ყველაფერი, სადაც კი ბომბი დაეცემოდა. რასაც მოჰყვა ხალხის შიში, რამაც იძულებული გახადა ისინი, დაეტოვებინათ თავისი ძვირადღირებული და ძნელად შეძენილი ქონება, მოუხდათ ნათესებისა და ყველანაირ მოსავალზე ხელის აღება. რის გამოც დღესაც არ ვიცით, როდემდე უნდა ვიყოთ სხვის იმედად, როდემდის უნდა ვუცქიროთ, ვინ როდის მოგვაწოდებს საჭმელს, ვინ როდის მოგვაწოდებს ყოველდღიურ ელემენტარულ რამეს, ჩვენ ჩამოგვერთვა იმის უფლება, რაც აქამდე გვქონდა, მაგრამ ჩვენ მაინც არ ვკარგავთ იმედს, ალბათ, დღეს იქნება თუ ხვალ, დავბრუნდებით ჩვენს სახლში და ვიცხოვრებთ ისევ ბედნიერად.

მიუხედავად ამ ტკივილისა, მადლობა მინდა, გადავუხადო იმათ, ვინც გულთან მიიტანს ჩვენს გულისტკივილს და დაგვეხმარება.”

ნინო დოიჯაშვილი, 28 წლის, ერგნეთი: „დავიწყებ იქიდან, რომ ვცხოვრობდი გორის რაიონის სოფ. ერგნეთში და ვსწავლობდი ცხინვალის პირველ საშუალო სკოლაში. ეს იყო 1991-92წ.წ. ძალიან ბედნიერი და ხალისიანი ოჯახი გვქონდა, ვცხოვრობდით, ვშრომობდით და არც არაფერი გვაკლდა. მამა ცხინვალში მუშაობდა და კარგი ხელფასი ჰქონდა, დედა დიასახლისი იყო. სკოლაში სიხარულით მივდიოდი ხოლმე, რომ არა ის ავბედითი ომი, რომელმაც ყველა დაგვაზარალა. მაშინდელი დრო არასოდეს დამავიწყდება. საშინლად დაიძაბა მდგომარეობა ცხინვალში, მაგრამ სწავლას განვაგრძობდით, არავის ეგონა, რაოდენ მძიმე ხვედრის წინაშე აღმოვჩნდებოდით. ჩვენი სკოლის წინ მდებარეობდა რუსულ-ოსური მეექვსე სკოლა. ოსი ბავშვები საშინელ შეურაცყოფას გვაყენებდნენ, გადმოდიოდნენ ჩვენს სკოლაში და დანებით გვემუქრებოდნენ, გვაშინებდნენ, ასფალტს ცარცით ჰყოფდნენ და ზედ აწერდნენ: „წაეთრიეთ, ქართველო ღორებო”. იქ ყოფნა გაუსაძლისი გახდა და ჩვენმა ნატო მასწავლებელმა გვთხოვა, სახლებში დავბრუნებულიყავით და აღარ გამოვცხადებულიყავით სკოლაში. ეს იყო ჩვენი იქ ყოფნის უკანასკნელი დღე. მაშინ კარგად არ მესმოდა, რა გველოდა, რა საშიშროების წინაშე ვიდექით. ტირილით, რის ვაივაგლახით გამოვუყევით ჩვენი სოფლის გზას. სახლში მძიმე სურათი დამხვდა: ქალები ტიროდნენ, მამაკაცები შეგროვილიყვნენ და „ბრონის ჟილეტებს” იკრავდნენ. რაღა თქმა უნდა, ჩემთვის, ჩემი დებისთვის და კიდევ იქ მცხოვრებთათვის ეს იყო საშინელი, სისხლიანი და ტკივილიანი წლები ჩემს ცხოვრებაში. იტაცებდნენ ახალგაზრდებს, ცვლიდნენ ტყვეებს. მახსოვს მრავალი შემზარავი ფაქტი. ერთ დღეს, რიცხვი არ მახსოვს, ჩვენს უბანში „ბეტეერი” გადაყირავდა. ზემოდან გვარდიის ბიჭები ისხდნენ, ჩემი კლასელიც იქ იჯდა, ერთ-ერთი მათგანი შიგ მოყვა და სიკვდილს ებრძოდა, დანარჩენები მძიმედ დაშავდნენ. საშინელი იყო მომაკვდავი ხალხის გმინვა, ის ბიჭი ადგილზე გარდაიცვალა. ცხინვალში სასტიკად აწამებდნენ ქართველებს, მნიშვნელობა არ ჰქონდა წლოვანებას და სქესს, მათთვის ყველაფერი სულერთი იყო, მათ არ უნდოდათ მშვიდობა, არ ინდობდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, „გუდრონში“ ხარშავდნენ ტყვეებს და სასტიკად აწამებდნენ ჯარისკაცებს. ეს ყველაფერი ხდებოდა 1993-94 წლების ბოლომდე. ეს არ არის ჩემი მოგონილი, ეს გაგონილი და შემზარავი ფაქტებია, რომელმაც დაგვიმახინჯა ბავშვობა და შავი ლაქა დატოვა

ჩვენს მეხსიერებაში. ის კი მახსოვს კარგად, როცა სოფ. ერგნეთში ოსი ეროვნების ქალი და ბავშვი ჰყავდათ ტყვეებად, უვნებელი და ხელშეუხებელნი, მათ არ აკლდათ კვება და ცხელ-ცხელი ხაჭაპურები. ისე კარგად ექცეოდნენ ჩვენი თანამემამულეები, მათ სანაცვლოდ ჩვენ კი მხოლოდ ნაწამებ ქართველებს ვიღებდით. არ მესმის რატომ? ნუთუ მათ გული არ გააჩნდათ? ნუთუ არ ესმოდათ, რომ მათ ცოლებსა და შვილებს სასიკვდილოდ არავინ იმეტებდა, სანაცვლოდ რა მივიღეთ? დაკარგული ტერიტორიები და მსხვერპლი, აღარ მინდოდა ასე ცხოვრება. ყოველი წუთი შიშისმომგვრელი იყო ჩემთვის, ყოველი ახალი წელი კი – ტკივილის მომტანი. არაფერი იცლებოდა. დღე დღეს მისდევდა. ახალი წელს ცხინვალიდან, ტექნიკიდან გვიშენდნენ, აი ასე გვილოცავდნენ ყოველ ბედნიერ დღეს. შიშით და კანკალით ვამუშავებდით ნაკვეთებს და ვიღებდით მოსავალს. თავის რჩენა ხომ

(გაგრძელება IV გვერდზე)

ხაშური და რუსული ინტერვენცია

(გაგრძელება)

გვინდოდა, ვერც სოფელს ვტოვებდით, რადგან არ გვინდოდა ერთი გოჯი მიწის კიდევ ერთხელ დაკარგვა. მაშინ, არა მარტო ერთმანეთს, არამედ მთელ გორის რაიონს ვიცავდით. ეს მაშინ. დღეს უკვე, 28 წლის – ორი შვილის დედა ვარ, აწყობილი ოჯახი და ცხოვრება დავკარგეთ. მართალია, 18 წლის მანძილზე ერთი ღამე არ გვქონია მშვიდობიანი, სამზარეულოშიც კი გვიცვიოდა ტყვიები, მაგრამ არაფრით არ ვტოვებდით სოფელს. მიუხედავად ჩვენი მწარე ტკივილისა და გაჭირვებული ცხოვრებისა, მაინც გვენანება ამდენი ხნის მანძილზე ნაწვალები ცხოვრების მიტოვება. რუსულმა ავიაციამ დაბომბა და მიწასთან გაასწორა ჩვენი სოფელი, ამჯერად ვერ გადავურჩით რუსი მტარვალების შემოტევას. ძლივს გამოვასწარით და მივაღწიეთ გორამდე. არაფერი წამოგვიღია, ან რისი წამოღების თავი გვქონდა? ორი ღამე გორში გავათენეთ, შემდეგ, 8 აგვისტოს, გორიც დაიბომბა, აქაც უფლის წყალობით გადავრჩით და გამოვიქეცით ხაშურში გზააბნეულები, ტირილით მივუყვებოდით ქუჩებს, მე ჩემი ორი შვილით, დედა, ჩემი და და პაპა. თურქეთისკენ მიმავალ ავტობუსს გამოვყევით და ხაშურის შემოსასვლელში ჩამოვედით. ასე აღმოვჩნდით პირველ ბაგა-ბაღში, სადაც ამჟამად ვცხოვრობთ. დღესაც სტრესში ვართ, ბავშვები ვეღარ იძინებენ, სულ ზეცას შეჩერებიან და ყურადღებას ერთი წუთით არ ანელებენ, ომის შიშმა სამუ-

დამო დაღი დაასვა ყველა ჩვენთაგანს. დედა სულ ტირის, გვენანება ჩვენი სოფელი, რომელსაც არაფრით არ დავთმობთ. 18 წელი იქ სულ ომში და ტირილში ვიყავი, დაგვიწვეს ყველაფერით მოწყობილი სახლი, რასაც ამდენი წლები ტანჯვით ვიცავდით და ვუფრთხილდებოდით, ერთი ხელისმოსმით გაგვინადგურეს.”

ვერიკო ტალახაძე, 18 წლის, კნოლევი: „მინდა, გაგიზიაროთ ჩემი გადატანილი ტრავმა. მყავს მშობლები, ვართ ხუთი და და სამი ძმა. ოთხი და გათხოვილი, ერთი ძმა-დაქორწინებული. ამჟამად ჩემი ოჯახი 11 წევრისგან შედგება. 2008 წლის 7 აგვისტოს ჩვენს სოფელში შემოიჭრენ ოსები და რუსები. 8 აგვისტოს, დილის 4 საათზე, წამოვედით მე, ჩემი ძმა, რძალი და ძმისშილები. ჩემი რძალი ფეხმძიმედ იყო და ძალიან უჭირდა სიარული. როგორც იყო, გამოვედით ცერონისამდე. მერე კი დავურეკე ჩემს დეიდაშვილს და მანქანით გამოგვიდგა. ბავშვები და მოხუცები წამოიყვანა. გზაში კი გვხვდებოდნენ ბეტეერები, ტანკები და სასწრაფოები. მიდიოდნენ ჩვენს მხარეს, ტყვიები თავზე გვივლიდნენ, ძლივს გამოვასწარით. ერთი სიტყვით, კოშმარი იყო ეს ყველაფერი. ჩვენ რომ გამოვედით, ჩემი მშობლები არ წამოვიდნენ, სოფელში დარჩნენ, პაპაჩემი და ჩემი პატარა ძმაც. 12 აგვისტოს დილით პაპაჩემი და ჩემი ძმა წამოვიდნენ ჩვენთან. მშობლები არ გამოგვყვნენ, ჩვენს სახლს ვერ მივატოვებთო. მერე როცა ჩვენი სოფელი დაიბომბა, დედა თავში დაიჭრა. ორი დღე გვეწვინა ქარელის საავადმყოფოში, ორი დღის შემდეგ გამოვიყვანეთ დეიდასთან–აგარაში. დროებით ვიყავით დეიდასთან, მაგრამ მერე აგარაც დაიბომბა და წავედით მთაში მთელი ოჯახი დეიდაჩემთან. ერთი კვირა დავრჩით, გზები იყო გადაკეტილი, გვეშინია ჩემი რძლის ორსულობის გართულების. ჩამოვედით ხაშურში და ვცხოვრობდით №2 ბაგა-ბაღში. 28 სექტემბერს შემეძინა ძმისშვილი ხაშურის სამშობიაროში. ამჟამად ვცხოვრობთ ლომოურის ქუჩაზე მდებარე №1 ბაგა-ბაღში.”

ნატო შალვას ასული ყულუმბეგაშვილი, 64 წლის, ცხინვალი: „ვცხოვრობდი ნათესავის ბინაში, რომელიც დაიწვა და დავრჩი ღია ცის ქვეშ. დახმარებისთვის მივმართე წითელ ჯვარს, რომელმაც დაგვაკავშირა დეიდაჩემს - ნინო გრიგალაშვილს. ცხინვალიდან ჩამოგვიყვანეს გორში, გორიდან-ხაშურში. გამგეობამ დიდი დახმარება გაგვიწია. მადლობა ბადრი შერაზადიშვილსა და ზურაბ აბრამაშვილს.“

ნინო გიორგის ასული სადუნიშვილი, 20 წლის, ცხინვალი: „ცხინვალში მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად ვცხოვრობდით. ძალიან გულთბილი მეზობლები მყავდა. შვილები პირველი ომის დევნილი რომ ვიყავი, მაშინ შემეძინა ხაშურში, 1991 წელს - გოგო და 1992 - წელს ბიჭი. როცა სიტუაცია დაწყნარდა, მეუღლემ ისურვა ისევ ცხინვალში საცხოვრებლად დაბრუნება. ცხინვალში არ ჩამწერეს, რადგან ქართველი ვიყავი და შვილები ჩემს გვარზე მყავდნენ, სანამ გორში ხელი არ მოვაწერეთ.

ხუთი წლის წინ, კიდევ მეორე ომიც გადავიტანეთ, მაშინაც გვავიწროებდნენ. მეუღლე ცემეს და დაინვალიდდა, შრომის უნარი აღარ აქვს. 2000 წლიდან ვმუშაობდი თამარაშენის სკოლაში, ბავშვებიც იქ დამყავდა და ძალიან მძიმე დღეების გადატანა გვიწევდა. გზა რომ დაიკეტებოდა, ოსი სამხედროები არ გვიშვებდნენ და ტყეზე გადავდიოდით დიდი შიშით. ცხინვალში ყურადღებას არ გვაქცევდნენ და არც საბუთს გვაძლევდნენ, რომ გზაზე ოსებს გავეტარებინეთ თამარაშენისაკენ. შემდეგ თამარაშენის გამგებელი დამეხმარა (ბატონი დავით დათაშვილი და სკოლის დირექტორი ქალბატონი ელისო ბასიშვილი). ვცხოვრობდით თამარაშენში ნუნუ მინდიაშვილის ბინაში. შემდეგ ხეითში მომცეს ბინა, აგვისტოში უნდა შევესახლებინეთ. ბავშვებს ძალიან უხაროდათ, აღარავინ დაგვჩაგრავსო, მაგრამ საუბედუროდ, 7 აგვისტოს ომი დაიწყო. ეს ომი წინა ომებზე ბევრად საშინელი იყო. გარეთ ვერ გამოვდიოდით და ვერ ვლაპარაკობდით ქართულად. დედამთილი მეზობლის ქალმა ცემა. გამოსვლა გვინდოდა, მაგრამ ყველა გზა ჩაკეტილი იყო. ცხინვალიდან ოსები გადიოდნენ, ქართველებს კი არც აქეთ გვიშვებდნენ და არც თვითონ გვეხმარებოდნენ. ფეხით გამოვიპარეთ მე და ბავშვები, მაგრამ ოსებმა დაგვინახეს და მილიციაში მივყავდით. ბიჭმა ტირილი დაიწყო, მაგრამ ვიღაც უცხო კაცი გამოგვიჩნდა და ჯარისკაცებს უთხრა, თავი დაანებეთო. მძიმე იყო იმ დღეების გადატანა, რაც იქ გამოვიარეთ. დაგვაბრუნეს უკან. სახლში ვიყავით ჩაკეტილები. გარეთ გამოსვლის გვეშინოდა. 26 სექტემბერს, წითელი ჯვრის დახმარებით ხაშურში ჩამოვედით. გამოვიარეთ დამწვარი სახლები, დანგრეული იყო მთელი ის მხარე. ძალიან გულთბილად მიგვიღეს ხაშურის გამგეობაში. განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა ბადრი შერაზადიშვილმა და შეგვასახლა №7 ბაგა-ბაღში. იმედი გვაქვს ყველას, რაც გადავიტანეთ, მეტი აღარ განმეორდება.“

მზია გელაშვილი, 47 წლის, სოფელი ცერონისი: „2008 წლის 10 აგვისტოს სოფელ ცერონისში შემოვიდა ერთი ბეტეერი შეიარაღებული ხალხით (ოსები და რუსები), დაგვიწყეს სროლა, შეშინებულები გამოვიქეცით. ბეტეერი გორაზე ავარდა და გამოქცეულ ხალხს სროლა დაგვიწყეს. ერთ საათში სოფელში ბოლი ავარდა, ჩვენ საკუთარ სახლებს ჩვენი თვალით ვუყურებდით, როგორ იწვოდა. სოფელში 78 სახლის დაწვა მოასწრეს, რაც არ დაწვეს, გაძარცვეს, ბაღებში თუ რამე ნახეს, წაიღეს, საქონელიც წაიყვანეს. სოფელში დიდი ვაივაგლახით შევედი. მინდოდა, მენახა ჩემი დამწვარი სახლ-კარი. სიტყვებით გადმოცემა მიძნელდება, რაც ჩემი თვალით ვნახე, საშინელებაა. ყველანაირად გამართული, ავეჯით სავსე სახლ-კარი ნაცრად არის ქცეული. სახლის წინ თუ სადმე ხე, ფოთოლი, ხეივანი იყო, ყველაფერი დამწვარია, დამტვრეულია ჭურჭელი. ჩემს მეზობელს 25 სული საქონელი წაართვეს, რომ არ მიეცა, მოკლავდნენ. ჩემს უბანში არცერთი სახლი აღარ დგას, ყველაფერი მიწასთან არის გასწორებული, სახლების ადგილზე მხოლოდ ცარიელი კედლები და ნაცარია. შეიარაღებული პირები განსაკუთრებული სისასტიკით იყვნენ განწყობილნი სამხედრო ფორმაში ჩაცმული პირების მიმართ. ვისაც სახლში ალბომი ჰქონდა, ანადგურებდნენ. სამხედრო ფორმაში გადაღებულ სურათებს ხევდნენ, წვავდნენ, ყრიდნენ. სოფელში დადიოდნენ და იძახდნენ: აი თქვენი სააკაშვილი და მან გიშველოთო. მე თვითონ ჩემი შვილის სამხედრო სურათი ვიპოვე ეზოში ტალახში ამოსვრილი.“

ეს ნაამბობები ძალიან მცირე ნაწილია იმ დიდი ტრაგედიისა, რაც მოხდა... მათ გარდა, უამრავი უსახლკარო ლტოლვილია, ბევრიც მარჩენალდაკარგული, ბევრი უცნობი ჯარისკაციც მიაბარეს ქართულ მიწას... მტერმა სურვილი შეისრულა – დასავლეთისაკენ ლტოლვა არ გვაპატია.

მტერი გორისა და ქარელის რაიონების შემდეგ, 11 აგვისტოს ჩვენს რაიონს მოადგა.

რუსმა ოკუპანტებმა სოფელ ნაბახტევთან ბლოკ-საგუშაგო გახსნეს. მტრის თვითმფრინავებმა 3-4 ჯერ დაზვერეს ქალაქი. მოსახლეობა პანიკამ მოიცვა. სტალინის, იმერეთის ქუჩისა და ჭალისუბნის მცხოვრებთა დიდმა ნაწილმა მტკვარგაღმა სოფლებს შეაფარა თავი.

ნაწილი ბორჯომ-ბაკურიანის მიმართულებით გაიქცა, ზემოსერის უბანმა კი ცედანს, წაბლოვანასა და ქემფერს მიაშურა. ბევრი ჩვენი მოქალაქე ხარაგაულის რაიონის სოფლებში დაემალა მტერს, ზოგიც ახლომახლო სოფლებს მიადგა. ნაირა ტაბატაძე გვიამბობს: „16 აგვისტოს ხაშურში განსაკუთრებულად მრავლად შემოვიდა რუსუ

(დასასრული V გვერდზე)

ხაშური და რუსული ინტერვენცია

(დასასრული)

ლი სამხედრო ტექნიკა და ჯარისკაცები. ქალაქის თითქმის ყველა ცენტრალური ქუჩა დაიკავეს, მოსახლეობა პანიკამ და შიშმა მოიცვა. პირადად მე, არ ვიცი, რატომ, მშვიდად ვიყავი. ამ დღეს ჩვენი ოჯახი ჩვეულებრივი რიტმით ცხოვრობდა. ყველაფრის მიუხედავად, არსად წასვლას არ ვაპირებდით. საღამოს, ჩვენთან მოვიდა ჩვენი ოჯახის ახლობელი და გვითხრა, მთელი ქალაქი იცლება, ხალხი გადის და იქნებ, თქვენც მოემზადოთ, მე წაგიყვანოთო. წასვლა არ გვინდოდა. შემდეგ დედამ გვირჩია, რომ მე და ჩემი და ბავშვებთან ერთად სადმე წავსულიყავით. ჩვენ სასწრაფოდ ჩავალაგეთ ჩვენთვის საჭირო ნივთები და ქვიშხეთში წავედით და 4 დღე დავრჩით ახლობლებთან."

ლია ჯურხაძე – ლომიძისა (აფხაზეთიდან ლტოლვილი): 2008 წლის 7 აგვისტო ძალიან მძიმე გასახსენებელია ჩვენთვის. ჩვენ ვცხოვრობთ აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელ გზაზე. მთელი ორი დღე ქართული ჯარი შეუწყვეტლივ მოძრაობდა ჩვენს გზაზე. მიკვირდა, ამდენი ჯარისკაცი სად ჰყავდა საქართველოს. მძიმე საყურებელი იყო, სამხედრო მანქანებზე მსხდომი ბიჭები სიმღერ - სიმღერით რომ მიდიოდნენ ომში. ჩვენ ვტიროდით, ისინი კი გვიძახდნენ, ნუ ტირით, დაგვლოცეთო, მართლაც, ყველას ჯვარს ვწერდით. განადგურებულები ვიყავით ყველანაირად. საინფორმაციო საშუალებებით ვგებულობდით, თუ როგორ უტევდნენ ქართველები მტერს. ჩემი ოჯახის წევრები ამ დღეს თბილისიდან ჩამოვიდნენ და თქვეს, გორში ძლივს გამოვიარეთო, გადაჭედილია გზები სამხედროებით და პატრულებითო. ღამის 2 საათი იქნებოდა, ქალაქის გამგეობიდან რომ დაგვირეკეს და გვითხრეს, ალიკო (ჩემი მეუღლე) ამოვიდეს, რეზერვისტები ვიკრიბებით და ომში მივდივართო. საშინელება იყო ეს ჩვენთვის. ქალაქიდან იმ ღამეს 280 რეზერვისტი წაიყვანეს და ყველა, ღვთის წყალობით დაუბრუნდა ოჯახებს.

ქალაქში დაძაბული სიტუაციის გამო, ოჯახში ვფიქრობდით, ბავშვები მაინც გაგვეყვანა ქალაქგარეთ. წავედით სოფელ ლაშეში (ხარაგაულის რაიონი). რამდენიმე დღე შედარებით მშვიდად ვიყავით. ამ დროს ჩვენმა მთავრობამ რეზერვისტებიც დააბრუნა ოჯახებში. 11 აგვისტოს საღამო იყო, მშვიდად ვისხედით ეზოში და ამ დროს გავიგონეთ მძიმე ტექნიკის საშინელი ხმაური, ჩვენი ეზოდან ჩანდა, თუ როგორ შემოვარდნენ სამხედრო მანქანები მძიმე ტექნიკით. ამ წყნარ სოფელში იყო პანიკა, ყვირილი. სამხედროები ყვიროდნენ, გაიქეცით, ხალხნო, თავს უშველეთ, რუსები და ოსები მოგვდევენო. ჩვენმა ჯარმა მიატოვა შეიარაღებული ტექნიკა და ტყეში გაქცევით უშველა თავს. საშინელ დღეში ჩავცვივდით. სად გავქცეულიყავით, არ ვიცოდით, თუ სრულ გონებაზე დავრჩებოდი, ნამდვილად არ მეგონა. ასეთი საშინელება აფხაზეთის დაბომბვის დროსაც არ განმიცდია, მგონი. დავეცი მუხლებზე და ლაშის წმინდა გიორგის სალოცავს ვევედრებოდი, რომელიც სოფელს თავზე მფარველად დაჰყურებს, რომ ყველა მშვიდობიანად გადავრჩენილიყავით. ის ღამე შეშინებულებმა სხვა სოფელში გავათენეთ, თუ გათენება ერქვა. ღამე მესმოდა, როგორ დაფრინავდნენ ვერტმფრენები, მაგრამ ისეთი განადგურებული ვიყავი, კიდევ გასაქცევად რომ გვქონოდა საქმე, ამის ძალა აღარ შემწევდა. როგორც კი გათენდა, მეორე დღესვე წამოვედით ხაშურში, აქაც ერთი დაძაბული ღამე გავათენეთ. მეორე დღეს ისევ პანიკამ მოიცვა ქალაქი, ვითომდა რუსებმა და ოსებმა დაიკავეს ქართული სოფლები და ხალხს აწიოკებენო. ამის გამგონეს ხაშურში რა გამაჩერებდა და გავიქეცით ახალციხეში ნათესავებთან, იმის ფიქრით, იქაც თუ მსგავსი პანიკა იქნებოდა, უკვე მეტი გზა არ გვექნებოდა და ვალეს გავლით თურქეთში გადავიდოდით. ახალციხეში ერთი კვირა დავრჩით. ამ ხნის მანძილზე ხაშურში, მართლაც, შემოვიდა რუსის ჯარი, მაგრამ ღვთის წყალობით, მოსახლეობას არ ერჩოდნენ და ჩვენც გადავწყვიტეთ, დავბრუნებულიყავით სახლში და მადლობა მინდა ვუთხრა უფალს, რომ კიდევ ერთხელ აღარ გავხდი ლტოლვილი. ღმერთმა დალოცოს საქართველო, რათა გვაკმაროს ომი, კიდევ მსგავს ომს ვეღარ გადავიტანთ, რაც 90-იან წლებში გადავიტანეთ."

ეთერ გელაშვილი: ომის პერიოდში მთელი ჩვენი უბანი აფორიაქებულები, შეშინებულები, ზურგჩანთებითა და ლეიბ-საბნებით ერთი სამარშუტო ტაქსით ბულბულისციხეს მივადექით, მაგრამ ჩამოსულები არ ვიყავით მანქანებიდან, რომ ჯერ რუსების თვითმფრინავმა დაგვზვერა, შემდეგ კი ტანკებისა და მანქანების გრუხუნმა ისე შეგვაშინა, არ ვიცოდით, რა უნდა გაგვეკეთებინა. ტანკები და მანქანები ჩვენი სამხედროების აღმოჩნდა, მაგრამ ვიდრე ამას შევიტყობდით, ყველანი პანიკაში ჩავცვივდით. ცოტა რომ დაწყნარდა სიტუაცია, მწვანე მონასტერში აღმოვჩნდით, მოძღვარმა დაგვამშვიდა, დაგვაპურა, დაგვლოცა. რამდენიმე დღე გავჩერდით, შემდეგ კი ბაკურიანში ნათესავებთან წავედით. თან მოძღვრის ლოცვა-კურთხევასთან ერთად, საგზალიც გაგვატანეს."

ჟენია (ევგენია) ხაჩიძე: „სურამში, ახალ გზაზე, წმინდა გიორგის ტაძართან ახლოს ვცხოვრობთ. რიცხვი აღარ მახოვს, აგვისტო კი იყო, ხმაურმა მთელი უბანი შეაშფოთა და გარეთ გამოგვიყვანა. რუსები მოდიანო, დაიძახა ვიღაცამ და ვინ საით გავრბოდით, აღარ მახსოვს. ის დღე იყო, როცა ვაყიდან, ბერძენაულიდან და ტყვიავიდან მთელი სანათესაო მოგვადგა. ბავშვები ატირებულები, დიდები შეშინებულები და დაძაბულები ერთმანეთს ვეფარებოდით."

როგორც აღვნიშნეთ, მტერი გომის მხრიდან შემოვიდა. ტანკები, ურალისა და ბ.მ.პ-ის ტიპის მანქანები ქალაქის შემოსასვლელში საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკასთან, ავტოსადგურთან, გაგარინის მხარეს, ე.წ. 220-იან ელექტროსადგურთან და სოფელ იტრიასთან დადგა.

მტერმა ოსიაურის ბაზიდან ჯერ სულ გაზიდა სამხედრო ტექნიკა, შემდეგ მთლიანად გაანადგურა დარჩენილი ინფრასტრუქტურა, მათ სამხედრო ტექნიკა ხცისის მიდამოებში ეგულებოდათ და აფეთქებებსაც იქ ახორციელებდნენ. მათ გაანადგურეს იქ არსებული რეზერვისტთა ბანაკი.

21 აგვისტოს ძლიერი აფეთქება იყო ქალაქ ხაშურის სამხრეთითაც. აფეთქების ხმა ხალხს შიშის ზარს ცემდა, ზანზარებდა მრავალსართულიანი ბინები, იმსხვრეოდა მინები. რუსები თავისუფლად გადაადგილდებოდნენ რაიონში ტანკებით და ჯავშანტრანსპორტიორებით და ზვერავდნენ ყველა კუთხე-კუნჭულს. სნაიპერი იჯდა პროკრედიტბანკის შენობის სახურავზე. ომმა გამოავლინა ქართველთა არნახული სიყვარული თავისი ქვეყნისა. გვყავს სხვადასხვა მედლით დაჯილდოებული ჯარისკაცები. მაგალითად, კაპიტანი გიორგი ტაბატაძე დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისათვის" (იგი დაიბადა ქ. ხაშურში, 1980წელს. 1986 წლიდან სწავლობდა რკინიგზის №4 საშუალო სკოლაში. სწავლობდა საქართველოს კადეტთა კორპუსში. მისი დამთავრების შემდეგ უგამოცდოდ ჩაირიცხა საქართველოს გაერთიანებულ სამხედრო აკადემიაში. 2001 წელს მიენიჭა უმცროსი ლეიტენანტის წოდება. ამჟამად მუშაობს გორის სატანკო ბატალიონის ასეულის მეთაურად – კაპიტნის თანამდებობაზე. 2008 წლის რუსეთ – საქართველოს ომის დროს დაიჭრა, ამჟამად მწყობრშია.

მრავალი სიგელითაა დაჯილდოებული კაპიტანი ნოდარ თეიმურაზის ძე წულეისკირი. (იგი დაიბადა 1980წ. თბილისში, 1997 წელს დაამთავრა რკინიგზის №4 საშუალო სკოლა, ხოლო 2002 წელს თავდაცვის ეროვნული აკადემია. სწავლობდა თურქეთის რესპუბლიკის ჟანდარმერიის ოფიცრის უმაღლეს სასწავლებელში (ქ.ანკარა), მის შემდეგ სწავლა გააგრძელა კომანდოს სასწავლებელში, რომლის სრული კურსი დაამთავრა 2006წ. ამჟამად მუშაობს საჩხერის სამთო ბატალიონის სამსახურის უფროსად.)

ჩვენი რაიონიდან ორდენებზე წარდგენილნი არიან ლეიტენანტი ზოია კურტანიძე და უფროსი სერჟანტი თეიმურაზ ბუხრიკიძე, რომლებმაც მტრის რამდენიმე თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

ზოია კურტანიძე: „ქვეყანას თუ დასჭირდა, უკან არაფერზე დავიხევ. ურთულესი პროფესიის მიუხედავად, არჩევანი უკვე გავაკეთე და ამიტომაც მშვიდობიან პირობებში ომისათვის ვემზადები. საჭიროების შემთხვევაში მზად ვარ, ჩემი მოვალეობა პირნათლად შევასრულო."

ეს სიტყვები მან ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, ომამდე რამდენიმე დღით ადრე. (იგი დაიბადა 1986 წელს, ქ. ხაშურში. წარჩინებით დაამთავრა ქალაქის III საშუალო სკოლა. ასევე წარმატებით დაასრულა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი. 2007 წელს მონაწილეობდა ტელე-პროექტში „ყაზარმა". პროექტის შემდეგ შემოთავაზება მიიღო სამხედრო აკადემიაში სწავლის გასაგრძელებლად, რომელზეც დათანხმდა. დაამთავრა საზენიტო-სარაკეტო დანადგარების ექსპლოატაციის ფაკულტეტი, მინიჭებული აქვს ლეიტენანტის წოდება).

უფროსი სერჟანტი თეიმურაზ ბუხრიკიძე ასე ახასიათებს ომში მებრძოლ ბიჭებს: „სანამ მტერთან პირისპირ ვიბრძოდით, ქართველი ჯარისკაცის შეშინებული სახე არ მინახავს. მოწინააღმდეგესთან ბრძოლისას დიდ ფსიქოლოგიურ უპირატესობას ვგრძნობდით" (თეიმურაზ ბუცხრიკიძე დაბადებულია 1983 წელს, სოფელ ოსიაურში, დამთავრებული აქვს ოსიაურის საშუალო სკოლა, მეშვიდე წელია, სამხედრო სამსახურშია. სპეციალობით მეზენიტე. მსახურობდა ერაყში).

სხვა ბევრი ჯარისკაციც იბრძოდა გმირულად, მაგრამ ყველა არ დაბრუნებულა შინ.

დაღუპულთა შორისაა დავით ბლიაძე (დაბადებული 1986 წელს, ხაშურის რაიონის სოფელ ქვიშხეთში. მან 1999 წელს დაამთავრა ქვიშხეთის საშუალო სკოლა. 2003-2005 წლებში სამხედრო-სავალდებულო სამსახურში იმყოფებოდა ოსიაურში. 2006 წელს ჩაირიცხა რეზერვისტთა ბანაკში. გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის ორდენით. ასევე მასავით ახალგაზრდა დაიღუპა ზაზა (ზაურ) მახარაშვილი. (დაბადებული 1986 წელს, სოფელ ოსიაურში. სწავლობდა ოსიაურის საშუალო სკოლაში. ომამდე, 9 თვის ადრე, იმყოფებოდა ერაყში, შემდეგ მსახურობდა კომანდოს ბატალიონში. 2008 წელის აგვისტო-სექტემბრში გაწვეული იყო ვაზიანის №4 ბატალიონის №41 ბრიგადაში).

დაღუპულთა შორის აღმოჩნდა (მოგვიანებით დადგინდა დ.ნ.მ. ანალიზით) გიორგი წიქარიშვილი (დაბადებული ხაშურში, სწავლობდა ხაშურის V საჯარო სკოლაში. უცოლშვილო).

რუსმა ოკუპანტებმა 22 აგვისტოს დატოვეს ჩვენი ქალაქი, ხოლო 8 ოქტომბერს გააუქმეს სოფელ ნაბახტევთან უკანონოდ გახსნილი ბლოკსაგუშაგო. რაიონში არ დაფიქსირებულა მარადიორობის არცერთი ფაქტი, „მრავალმა ანგელოზებმა დაგვიფარა."

P.S. ომის დღეებში სამაჩაბლოდან გამოდევნილი მოსახლეობა ჩვენმა რაიონმაც მიიღო და მათი დიდი ნაწილი ბაგა-ბაღებსა და სანატორიუმებში ჩაასახლა. პირველივე დღეებში შევხვდით ლტოლვილებს, მივეფერეთ, ვანუგეშეთ, შეძლებისდაგვარად დავეხმარეთ და დიდი გულისტკივილით ჩავიწერეთ მათი მონათხრობები ომის შესახებ. მოვინახულეთ დაღუპულების საფლავები ზაზა მახარაშვილისა _ ოსიაურში, დავით ბლიაძისა _ ქვიშხეთში, გავეცანით მათ ოჯახებს.

ჩვენმა თანამშრომელმა გვიამბო ყმაწვილი ბიჭის (ნიკა ნოზაძის) შესახებ, რომელმაც თავგანწირვის ფასად დააფიქსირა მტრის პოზიციები ჩვენს ქალაქში და გაჩნდა გამოფენის მოწყობის იდეაც. მოვიძიეთ ფოტო _ მოყვარულების მიერ გადაღებულ (ბ. შერაზადაშვილი, დ. ღოღობერიძე, ბ. წიქრიძე) ფოტოები და ოპერატიულად გავხსენით ფოტო-გამოფენა სახელწოდებით _ ,,მრავალმა ანგელოზმა დაგიფაროთ" - (რუსეთიდან გამოგზავნილი მესიჯის მიხედვით).

გადავიღეთ მოკლემეტრაჟიანი ფილმი (რეჟისორი დავით ღოღობერიძე). გამოფენაზე მოვიწვიეთ დაღუპული ბიჭების ოჯახის წევრები, ლტოლვილები, სამხედრო ნაწილისა და კომისარიატის ხელმძღვანელი პირები, ლეიტენანტი ზოია კურტანიძე, რაიონის ხელმძღვანელობა და ხაშურის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მაყვალა ხაჩიძე,
ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების გამომცემლობის მენეჯერი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება № 75

2018 წლის 7 აგვისტო, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასახლების შექმნის შესახებ წინადადების მოწონების თაობაზე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ხაშურში მცხოვრები მოქალაქეების 2018 წლის 9 ივლისის კოლექტიური განცხადება, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასახლების შექმნის, დასახლებისათვის შესაბამისი კატეგორიის მინიჭების, დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების დადგენისა და დასახლებისათვის ისტორიული სახელწოდების „აზარმა“-ს დარქმევის მოთხოვნით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 19 ივლისის 03/7586 წერილის მიხედვით, საკრებულოს მიერ ზემოხსენებული წინადადების მოწონების შემთხვევაში, მერია უზრუნველყოფს დასახლების ადმინისტრაციული საზღვრებისა და სქემატური რუკის მომზადებას, ხოლო საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2018 წლის 7 აგვისტოს დასკვნის შესაბამისად, საკითხი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 აგვისტოს სხდომაზე მოწონებული იქნა ზემოხსენებული წინადადება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „დასახლების შექმნისა და გაუქმების, დასახლებისთვის შესაბამისი კატეგორიის მინიჭებისა და შეცვლის, აგრეთვე, დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 307 დადგენილების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მოწონებული იქნას ხაშურში მცხოვრები მოქალაქეების 2018 წლის 9 ივლისის წინადადება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასახლების შექმნის, დასახლებისათვის შესაბამისი კატეგორიის მინიჭების, დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების დადგენისა და დასახლებისათვის სახელწოდება „აზარმა“-ს დარქმევის შესახებ;
2. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი

გაფორმდა მემორანდუმი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიასა და საქართველოს ონკოლოგიურ პათოლოგიათა პრევენციის ფონდს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც მიზნად ისახავს ურთიერთთანამშრომლობას მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა საკეთილდღეოდ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა მადლობა გადაუხადა საქართველოს ონკოლოგიურ პათოლოგიათა პრევენციის ფონდის ხელმძღვანელს მარიამ შელეგიას 3 აგვისტოს ჩარებული მოსახლეობის უფასო გასინჯვების აქციისათვის, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ კ. ერისთავის სახელობის. ექსპერიმენტული და ქირურგიის ეროვნული ცენტრის წამყვანი სპეციალისტები.

ქალბატონმა მარიამმა მზადყოფნა გამოთქვა მომავალშიც განახორციელოს ამ ტიპის აქციები და აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობის მიერ აქციის ინფორმაციული და ტექნიკური უზრუნველყოფის მაღალი დონე, რისთვისაც მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს.

მუნიციპალიტეტის მერიის განცხადება

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია ეხმაურება ტელეკომპანიია „თრიალეთის“ ეთერით გასულ სიუჟეტს, რომელიც ცხოველთა მიმართ არაჰუმანურ მოპყრობას ეხება. გვინდა, ხაზგასმით განვაცხადოთ, რომ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია თითოეულ მუნიციპალურ დაწესებულებაში არსებული მდგომარეობა და თითოეული თანამშრომლის დამოკიდებულება მათზე დაკისრებული მოვალეობების მიმართ.

ამიტომ, ხაშურის მერია დაუყოვნებლივ და დიდი ყურადღებით შეისწავლის ცხოველთა თავშესაფარში არსებულ მდგომარეობას და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ჩვენი რომელიმე თანამშრომლის მხრიდან სამსახურებრივი გულგრილობის თუ სხვა გადაცდომის შემთხვევაში, ყველას პასუხი მოეთხოვება მთელი სიმკაცრით.

მუნიციპალიტეტის მერია

გაიხსნა რეპრესირებულთა და აგვისტოს ომისადმი მიძღვნილი მუზეუმი

9 აგვისტოს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკის შენობაში სარდაფში გაიხსნა რეპრესირებულთა და აგვისტოს ომის მონაწილეთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ოკუპაციის მუზეუმი.

მუზეუმის გახსნის პარარელურად, აგვისტოს ომის 10 წლისთავთან დაკავშირებით გაიმართა ღონისძიება. ღონისძიებას ესწრებოდნენ: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, შიდა ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციის და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე მეგობრობის ხიდი -ქართლოსი-ის წარმომადგენლები და დაინტერესებული პირები.

D ამირან ბარბაქაძის გახსენება

ჩემო უკვდავო ძმაო, რამდენი 9 აგვისტოც არ უნდა გავიდეს, შენ ჩემთვის ხარ განუმეორებელი და უძვირფასესი ჩემს გულში. მართალია, ასაკი მეც მომემატა, მაგრამ სულ მარტო დავრჩი, მშობლებისა და და-ძმანის გარეშე... შენ ხომ ჩემთვის აღმზრდელი, მამაც და დამრიგებელიც იყავი, შენი ავტორიტეტით და კაცობით დღესაც ვსარგებლობ ცხოვრებაში და ეს მეამაყება, შენ არმია გყავდა სამეგობრო წრიდან, მაგრამ არ დამემდურები გარკვეულ პიროვნებებს თუ არ დავასახელებ. ჩემთან შეხვედრებში თბილად გიხსენებენ ბატონები რეზო ინასარიძე, რობერტ სუხიაშვილი, ნუგზარ რამიშვილი, ომარ ღონღაძე, ბათუ ნოზაძე და უამრავი სხვა...

ჩემო ამირან, დიდ პატივს მივაგებ შენს წარსულს და ასე მოკლედ შემოვიფარგლები და ჩემს გულში დარჩები, როგორც მშობელი და უდიდესი პიროვნება, შენი განათლებით და ერუდიციით. ტკბილად იძინე შენს სასუფეველში.

შენი პატარა ძმა ონანა (ომარი)

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.